PRESS RELEASE

PR22/203

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორთა საბჭომ საქართველოს მხარდამჭერი 280 მილიონ აშშ დოლარიანი პროგრამა (Stand-By Arrangement) დაამტკიცა

გავრცელდეს დაუყოვნებლივ

- დღეს სავალუტო ფონდმა საქართველოს მხარდამჭერი 283 მილონ აშშ დოლარიანი, სამწლიანი პროგრამა Stand-By Arrangement (SBA) დაამტკიცა.
- პროგრამის ძირითადი ამოცანაა ქვეყნის ფისკალური ბუფერების შევსება, ფისკალური ჩარჩო წესების გაძლიერება, საგარეო რისკებისადმი მოწყვლადობისა და ინფლაციის შემცირება, საფინანსო სექტორის მდგრადობის შენარჩუნება და მაღალი და ინკლუზიური ზრდის ხელშეწყობა.
- საქართველოს ხელისუფლება პროგრამით გამოყოფილი თანხის დაუყოვნებლივ გამოყენებას არ გეგმავს.

ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი - 15 ივნისი, 2022: საერთაშორისო სავალუტო ფონდის (სსფ-ს) აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ დღეს საქართველოს მხარდამჭერი 280 მილიონ დოლარიანი პროგრამა დაამტკიცა. დამტკიცებული თანხა შეესაბამება სსფ-ში საქართველოს ქვოტის 100 პროცენტს ანუ 210.4 მილიონ ესდეერს (სპეციალური ნასესხობის უფლებას). აღნიშნული პროგრამა მხარს უჭერს ქვეყნის ეკონომიკის პოლიტიკას შემდეგი სამი წლის განმავლობაში. სსფ-ს დირექტოთა საბჭოს მიერ ამ პროგრამის დამტკიცებისთანავე საქართველოსთვის ხელმისაწვდომია დაახლოებით 40 მილიონი აშშ დოლარი (30 მილიონი ესდეერი; საქართველოს ქვოტის 14.3 პროცენტი). საქართველოს ხელისუფლება პროგრამით გამოყოფილი თანხის დაუყოვნებლივ გამოყენებას არ გეგმავს.

სსფ-ს მიერ მხარდაჭერილი საქართველოს ეკონომიკის პროგრამა ქვეყნის მაკროეკონომიკური სტაბილურობის შემდგომ განმტკიცებას, მდგრადობის ზრდას და საშუალოვადიანი ზრდის ხელშეწყობას ისახავს მიზნად, კოვიდ-19 პანდემიიდან გამოსვლისა და უკრაინაში მიმდინარე ომის გავლენის ფონზე.

აღმასრულებელ დირექტორთა მიერ საქართველოს საკითხის განხილვის შემდგომ, ბატონმა ბო ლიმ, სსფ-ს მმართველი დირექტორის მოადგილემ, განაცხადა შემდეგი:

"საქართველოს ეკონომიკა მდგრადია კოვიდ 19 პანდემიის მიმართ. ხელისუფლების მიერ გატარებულმა შესაბამისმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ შოკის ეკომინიკაზე გავლენა შეარბილა. უკრაინაში მიმდინარე ომისგან მომდინარე უარყოფითი ეფექტები, როგორიცაა ინფლაციის ზრდა და მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის გაღრმავება, სავარაუდოდ, პანდემიის შემდგომ სწრაფი აღდგენის ტემპს შეანელებს.

საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა ეკონომიკური პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია მაკროეკონომიკურ გამოწვევებზე პასუხზე, მათ შორის ფისკალური დეფიციტის, ინფლაციისა და საგარეო მოწყვლადობების შემცირებაზე, ისევე როგორც სტრუქტურულ რეფორმებზე, რომლებიც აუცილებელია ზრდის გასაძლიერებლად. ამ პროგრამას საერთაშორისო სავალუტო ფონდი მხარს დაუჭერს Stand-by Arrangement-ის

700 19th Street NW
Washington, DC 20431
USA

ფარგლებში. საქართველოს ხელისუფლება პროგრამით გამოყოფილი თანხის დაუყოვნებლივ გამოყენებას არ გეგმავს.

ფისკალური ბუფერების აღდგენა, ვალების შემცირება და მოწყვლადთა დაცვა პრგოგრამის საკვანძო საკითხი იქნება. ხელისუფლება აცნობიერებს ფისკალური წესის დაცვის აუცილებლობას პოლიტიკის სანდოობისთვის, და მიზნად ისახავს ბიუჯეტის დეფიციტის სრულ შესაბამისობას ფისკალური წესით განსაზღვრულ ზღვართან 2023 წლისთვის. მნიშვნელოვანია ისეთი ღონისძიებები, როგორიცაა დაგეგმილზე მაღალი შემოსავლების დაზოგვა, საგადასახადო ადმინისტრირების გაძლიერება, საგადასახადო ხარჯების (საგადასახადო ხვრელების) შემცირება და საშუალოვადიანი შემოსავლების სტრატეგიის შემუშავება, რაც ხელს შეუწყობს პრიორიტეტული ხარჯების გაწევას, ფისკალური ბუფერების აღდგენის პარალელურად. საჯარო ფინანსების მართვის რეფორმა და სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა ფისკალურ რისკებს შეამცირებს.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკა მართებულად განაგრძობს მაღალი ინფლაციის შემცირებაზე ფოკუსირებას. ხელისუფლება მოქნილი გაცვლითი კურსის, რეზერვების შევსებისა და ცენტრალური ბანკის კომუნიკაციების სტრატეგიის გაძლიერების მიმართ ერთგული რჩება. ცენტრალურმა ბანკმა სანქციების პირველადი გავლენა კარგად მართა და ბანკებს საერთაშორისო სანქციების დაცვა მოთხოვა, რამაც რისკების შეზღუდა.

ხელისუფლებამ მნიშვნელოვანი პროგრესი აჩვენა ფინანსური სექტორის რეგულირებისა და ზედამხედველობის გაძლიერების მიმართულებით, რაც ფინანსური სექტორის შოკებისადმი გამძლეობას დაეხმარა. შემდგომი ნაბიჯები ფოკუსირებულია ფინანსური უსაფრთხოების ბადის, კაპიტალის ბაზრის განვითარებისა და ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ჩარჩოს გაძლიერებაზე.

განახლებული სტრუქტურული რეფორმების გეგმა ხელს შეუწყობს უფრო ძლიერ და ინკლუზიურ ზრდას. ბიზნეს გარემოსა და მმართველობის გაძლიერების მიმართულებით ნაბიჯები კონკურენტუნარიანობას გააუმჯობესებს. პროგრამის ფარგლებში ყურადღება გამახვილდება ფესვგადგმული მაღალი უმუშევრობის დაძლევაზე განათლების რეფორმის შემდეგ ეტაპზე გადასვლის და შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გაძლიერების გზით. მისასალმებელია ნაბიჯები, რომელიც ემსახურება საინფორმაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაში ინვესტიციების ზრდას და დიჯიტიზაციის გააქტიურებას".

ცხრილი1. შერჩეული ეკონომიკური და ფინანსური მაჩვენებლები, 2019–23

	2019	2020	2021	2022	2023
	ფაქტიური		წინასწარი	პროგნოზი	
ეროვნული ანგარიშები და ფასები	(წლიური ცვლილება, პროცენტი, თუ სხვა მითითება არაა)				
რეალური მშპ	5.0	-6.8	10.4	3.2	5.8
ნომინალური მშპ (მილიარდი ლარი)	49.3	49.3	60.2	69.0	77.0
ნომინალური მშპ (მილიარდი დოლარი)	17.5	15.8	18.7	22.3	24.2
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (ათასი აშშ დოლარი)	4.7	4.3	5.0	6.0	6.5
მშპ დეფლატორი, პერიოდის საშუალო	4.9	7.3	10.6	11.3	5.3
სფ ინფლაცია, პერიოდის საშუალო	4.9	5.2	9.6	10.9	5.1
სფ ინფლაცია, პერიოდის ბოლო	7.0	2.4	13.9	8.1	3.4
კონსოლიდირებული ბიუჯეტი	(მშპ-ს პროცენტი)				
შემოსავლები და გრანტები	27.1	25.2	25.4	25.2	25.3
მ.შ. საგადასახადო შემოსავლები	23.7	22.3	22.5	22.8	23.1
ხარჯები	28.9	34.5	31.4	29.1	28.0
მიმდინარე ხარჯები	21.4	26.3	24.5	21.7	21.9
არაფინანსური აქტივების წმინდა შესყიდვა	7.6	8.2	6.9	7.4	6.1
კაპიტალური ხარჯები	8.0	8.6	7.6	8.0	6.4
შემოსავლები პრივატიზაციიდან	-0.4	-0.4	-0.7	-0.7	-0.3
წმინდა დაკრედიტება/სესხება, კორექტირებული	-1.8	-9.3	-6.0	-3.9	-2.6
წმინდა სესხება ბიუჯეტიდან	0.2	0.1	0.1	0.1	0.2
სესხება/დაკრედიტება (დეფიციტი სსფ-ს პროგრამის განმარტებით 1/	-2.1	-9.4	-6.1	-4.0	-2.8
მთავრობის მთლიანი ვალი 2/	40.4	60.2	49.5	47.1	45.8
მ.შ. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული	32.0	47.6	39.8	37.5	35.5
ფინანსები და კრედიტი	(პროცენტი, თუ თუ სხვა მითითება არაა)				
კერძო სექტორზე გაცემული კრედიტი (წლიური % ცვლილება)	20.7	22.4	12.4	20.9	11.6
კრედიტის ზრდა ფიქსირებული გაცვლითი კურსით	16.1	9.0	18.2	21.2	9.9
ფართო ფული (წლიური % ცვლილება)	17.6	24.6	11.3	19.9	14.0
ფიქსირებული გაცვლითი კურსით (შეფასება)	14.3	14.4	15.4	20.4	11.8
ფართო ფული (უცხოურ ვალუტაში დეპოზიტების გარეშე)	18.8	18.8	17.8	16.8	14.6
ფართო ფული (წლიური % ცვლილება)					
საგარეო სექტორი	(მშპ-ს პროცენტი, თუ სხვა მითითება არაა)				
მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი	-5.5	-12.4	-9.8	-10.9	-7.5
სავაჭრო ბალანსი	-21.4	-20.0	-20.1	-20.3	-19.6
სავაჭრო ფასების შედარება (პროცენტული ცვლილება)	-0.6	4.1	-14.0	-8.9	1.4
მთლიანი საერთაშორისო რეზერვი (მილიარდი აშშ	3.5	3.9	4.3	3.3	3.3
დოლარი)3/					
სსფ-ს კომპოზიტური საზომის მიმართ (მცურავი)	101.1	108.1	107.7	79.4	74.9
მთლიანი საგარეო ვალი	87.7	109.6	98.2	85.8	80.6

წყარო: საქართველოს ხელისუფლება და სსფ-ს თანამშრომელთა
გამოთვლები.
1/ მოდიფიცირებული წმინდა დაკრედიტება/სესხება (პროგრამის განმარტება) = წმინდა დაკრედიტება/სესხებას
გამოკლებული ბიუჯეტის მიერ გაცემული სესხები.
2/ არ მოიცავს მთავრობის ისტორიულ ვალს რაც მშპ-ს 1.2 პროცენტია
3/ მიმდინარე გაცვლითი კურსით; შეიცავს სსფ-ს მოწოდებულ სპეციალური ნასესხობის უფლებას (SDR allocations)
(SDR 144 მილიონს 2021 წლამდე და SDR 346 მილიონს 2021 წლის შემდეგ).